ბიდინგის პირობები

(ერთჯერადი კონტრაქტი)

ტექნიკის მაღაზიის ვაუჩერის შესაძენად

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR) 2022 წლის 28 იანვრიდან ახორციელებს პროექტს „ გენდერზე ორიენტირებული პედაგოგიკა თანაბარი განათლების შესაძლებლობებისთვის“, პროექტი დაფინანსებულია UN WOMEN-ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური ოფისის და UNFPA-ს მიერ. პროექტის ფარგლებში ცენტრი ეძებს ტექნიკის მაღაზიის ვაუჩერის შესაძენად ეძებს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.

ბიდინგის წესები

აღნიშნული ბიდინგის პროცედურა ძალაშია 5 კალენდარული დღის განმავლობაში, წარდგენის დასრულების დღიდან. ბიდინგის მონაწილეთა შერჩევა მოხდება წარმოდგენილი წინადადების ხარჯთეფექტიანობის პრინციპიდან გამომდინარე.

შეთავაზება წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ელექტრონული ფოსტით ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, სათაურის ველში შემდეგი მითითებით: CCIIR-ის ბიდინგი ტექნიკის ვაუჩერის შეძენისათვის.

ამ პროცედურის შესახებ ზოგადი და საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია ამ განაცხადში.

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მითითებული CCIIR საკონტაქტო ინფორმაცია ნებისმიერი შეკითხვისთვის.

კონტრაქტის ტიპი	ერთჯერადი კონტრაქტი
ხანგრძლივობა	მხარეთა ვალდებულებების სრულ შესრულებამდე
სატენდერო განაცხადის/წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა	7 დეკემბერი
ელ.ფოსტა სატენდერო წინადადებების წარდგენისათვის	Info.cciir@gmail.com

ელ.ფოსტა შეკითხვების დასმისათვის ტელეფონი შეკითხვების დასმისათვის	Info.cciir@gmail.com 599 574 553 (მამუკა)

ბიდინიგის განაცხადი

ბიდინგის განაცხადში უნდა იყოს მითითებული ვაუჩერზე განთავსებული ბალანსი ქართულ ეროვნულ ვალუტაში და მოიცავდეს ყველა საკითხს მიღებისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით. მიღებული ბიდინგის განაცხადები ვადის ამოწურვიდან 30 დღის განმავლობაში დარჩება ძალაში. ბიდინგის განაცხადები მიიღება ოფიციალურ ბლანკზე ან ფორმატში.

მოთხოვნები:

1) **იურიდიულმა/ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს წინადადება ტექნიკის ვაუჩერის შეძენასთან დაკავშირებით: 1 ვაუჩერში გადასხდელი თანხა სულ 500 ლარი, სულ 10 ვაუჩერი.**
2) **შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება 500 ლარად შეძენილი ვაუჩერის გამოყენებისას მეტი ღირებულების ფულადი ბალანსის შეთავაზებას.**
3) **ვაუჩერის გამოყენებისას ტექნიკის შესაძენად მითითებული თანხის სრული ოდენობა უნდა იქნას დაანგარიშებული დღგს- გარეშე, ვინაიდან პროექტი გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისაგან.**
4) **მომწოდებელმა იურიდიულმა/ფიზიკურმა პირმა უნდა მიუთითოს ვაუჩერის გამოყენების ვადები და საქართველოს მასშტაბით რეგიონალური დაფარვის ზონები მუნიციპალიტეტების მითითებით.**
5) **საქონლის მიწოდების ადგილი: თბილისი, მცხეთის ქ 8/90**
6) **ორგანიზაციის მხრიდან ვაუჩერის ღირებულების გადახდა მოხდება წინადადების შერჩევიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.**

საუკეთესო შემოთავაზების კომპანიის სახელი გაჟღერდება ვაუჩერების გადაცემის ცერემონიალზე, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან

ერთობლივად არის დაგეგმილი. ასევე, გაჟღერდება ორგანიზაციის პიარ და საინფორმაციო კამპანიის ფარლგებში.

ბიდინგის პირობები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.